№ 143, Იკლისის 6, შაბათი. 1866—1885 Იკლისის 6, შაბათი. № 143.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дрозва“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. —4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილად—ანგარიშს გვერდლობაზედ.

თუ ხელმოწერა მოითხოვს, რედაქცია გაახსოვრებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია კერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა გაზეთის „დროებაზე“

იკლისის პირველიდამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი

ვისაც დღემდე არ შემოუტანია მეორე ნახევარ-წლის ფასი, რედაქცია სთხოვს დააჩქარონ ფულის გამოგზავნა, თუ არა სურთ, რომ აგვისის 1-დამ გაზეთი მოესპოთ.

Общественная Библіотека

ქართული თეატრი

ტფილისს, იკლისის 7

ქართული დრამატიული სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება

ერთის ღარიბი ოჯახის სასარგებლოდ

I

ძუნწი

კომედია 2 მოქმედებად თხზულება Ერისთავისა

II

დილა ქორწილის შემდეგ

ვოდევილი 1 მოქმედებათ თხზულება ა. ყაზბეგისა

III

დივერტისმენტი

IV

ლეკური

ა) ლეკურს ითამაშებენ გამოჩენილი მელეკურენი ბ.ბ. ზ. რჩეულოვი, ს. იოსებაშვილი, ი. ცანკიევი, ბომელაური და სხვანი.

ბ) კინტოურს ითამაშებენ ბ.ბ. ფურცელაძე, სარაგაძე და ჯაფარიძე.

გ) ჩაჩნურს ხანჯლებით ითამაშებს დ. ბაბაშვილი.

ბილეთები ისყიდება მე-4 განყოფილებაში, კონსულის ქუჩაზე, წარმოდგენის დღეს თეატრის კასაში.

ანტრაკტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და ზურნა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი

დასაწყისი სწორედ 8½ საათზე.

ბრალი საზოგადოებისა

თბილისი, ივლისის 6-ს.

ქუთაისიდამ მოსულმა წერილმა გვახარა სასურველი ამბავი: ყოვლად სამღვდელო ბაბრიელი, ჩვენი ხალხის მაღალ პატივცემული და საყვარელი მწყემსთ მთავარი, ჩვენთანვე რჩებაო.

სასიხარულოა ეს სანატრელი ამბავი მრთელის ჩვენის საზოგადოებისათვის, რომელიც შეწუხებული იყო ყოვლად სამღვდელოს განზრახვითა. სასიხარულოა ამასთანავე ის მოვლენა, რომ ჩვენმა საზოგადოებამაც ღირსეულის საქმისათვის ხმა ამოიღო. ქუთაისის უეზდის მარშლისა და ქალაქის თავის მისვლა საზოგადოებითურთ ყოვლად სამღვდელოსთან თხოვნისათვის, რომ იგი დარჩეს,—ეს გარემოება თვალნათლად გვაჩვენებს, რომ საზოგადოებაში თვისის მოვალეობის ასრულების გრძნობა იღვიძებს და ამის გამოთქმასაც საქვეყნოდ ვალადა რაცხს.

არავის ექვი არა ჰქონია, რომ ყოვლად სამღვდელო ბაბრიელი დიდი ხანია პატივცემულია არა თუ მხოლოდ თვის ეპარქიაში, იმერეთში, არამედ ყოველ კუთხის ქართველობაში. და არამც თუ ‘აქ, მისი ღვაწლი რუსეთში და სამზღვარ გარეთაც იციან. მხოლოდ ეს იყო, რომ საზოგადოების მხრით ამ პატივისცემის გამოჩენებით საქვეყნოდ გამოთქმას შემთხვევა არა ჰქონდა, ანუ არ ემარჯვებოდა.

დღეს, როდესაც ბოროტ განმზრახველები შეეხენ მას, საზოგადოებას ვალი ედვა თვისი ერთგულება გამოეცხადებინა. ყოვლად სამღვდელომ თვის ნუგეშად ჩასთვალა საზოგადოების თხოვნა და მასთან მისვლა, მაგრამ ეს ნუგეში კი არ არის, ვალდებულების გადახდაა მისის მრავალხნობით თავდადებულის ეკლიან გზაზე სამწყემსო და საქვეყნო მოღვაწეობისათვის. ამიტომაც დრო იყო ეთქვა საზოგადოებას, რაც ქუთაისში ყოვლად სამღვდელოსთან წარდგენილებმა თქვეს, რომ «იგი საზოგადოების მფარველობის ქვეშ არის.» დარწმუნებული ვართ, რომ ამ სიტყვას გაიმეორებს ყველა კუთხე ჩვენის ქვეყნისა და თანაუგრძნობს.

ჩვენს საზოგადოებას მეტი გონების სიფთხილე მართებს. მასში არიან ისეთნი დამამცირებელნი ხასიათნი და თვისებანი, რომელნიც საზოგადოებას ახდენენ და რყვნიან, თუ მათ ყურადღებას არ აქცევს საზოგადოება და არ ცდილობს მის მოსპობასა თავის ზნეობითის ძალ-ღონითა. აი, როგორ:

ჩვენში არიან მოღვაწენი საქვეყნო საკეთილო საქმისა. მათი სურვილია

მწარე სვედრი

მოთხრობა.

მთიულეთის უდაბნო ტყეში ერთს ხის ქვეშ ვიღაცა მოხუცებული დედა კაცი იწვა და მწარედ ჰკვნესოდა. იმის გაცრეცილი სახე და გალურჯებული ტუჩები, ჩაცვივნული თვალები აშკარად ამტკიცებდა, რომ სენს მეტად დაეგდო და წარმოუთქმელად აწუხებდა. ეს დედა კაცი იქნებოდა ოც-დაათ წელიწადს გადაცილებული, მაგრამ ჯერ კიდევ სიყმაწვილის ლაზათი არ გაჭრობოდა და პირის თხელი კანი, თუმცა სატკივარს გაეყვითლებინა, მაგრამ სინაზით კიდევა ელვარებდა. საცოდავს არც საგები, არც სახურავი, გარდა ერთის ნაბდის ნაგლეჯისა არა ებადა-რა. მისთვის მზრუნველი არსადა სჩანდა, გარდა ნაზად გარდმოხრილის ხის ტოტებისა, რომელნიც სიყვარულით ზედ გადმოზნექოდენ, გაეშალათ ხშირი ფოთლები და მზის შუქს გზას აღარ აძლევდენ, რომ ავადმყოფი მომეტებულად შეეწუხებინათ; და კიდევ მსუბუქი ნიავისა, რომელიც მდინარეს მხრიდგან მოჰქროდა და ოდნავ შენოტიებული ავადმყოფს გამშრალს ტუჩებს და ყელს რაოდენადმე უსველებდა.

მაგრამ ვინ იყო ასე უნუგეშოდ დარჩენილი ამ ქვეყანაში, სადაც უცხოსადმიც-კი ისე კეთილნი არიან, ავადმყოფს ისეთის მზრუნველობით ეპყრობიან და ღვთისგან მოცემულს ლუკმას ღვთისგან გაჩენილს ვერ დაუჭერენ?..

ეს გახლდათ მთიულეთში განთქმულის ნინიკას ცოლი მარინე, იმ ნინიკასი, რომელიც ერთის დღით მისულს სტუმარს მთელს კვირას თავს აღარ დაახსნევინებდა. მაგრამ რამ მოიყვანა ამ უდაბნოში ასეთი განთქმულის კაცის ცოლი, მზის შესადარი მშვენიერება?

II

მარინესა და ნინიკას უყვარდათ ერთმანერთი და ‘ჯვარიც სიყვარულით დაიწერეს. ქმარი ყოველთვის ცდილობდა ყოველ გვარი სიამოვნება ეჩვენებინა, რიგიანად შეენახა და ყველასთვის დაენახვებინა, რომ კარგი ცოლი ამხანაგია ქმრისა და არა მონა. მარინეც აფასებდა მისდამი ქმრის საქციელს და თვალსა და წარბში შესცქეროდა, რომ ნინიკას სასიამოვნოდ მოქცეულიყო. ასე მიდიოდა მათი ცხოვრება, რომელსაც ყველანი შენატროდენ იმ დრომდის, სანამ ნინიკას ამბავი არ მოუვიდა, რომ მთაში შენს ცხვარს ქისტები დაეცნენ და გარეკესო. ნინიკამ აიხსნა იარაღი შეჭყარა მეგობრები და იმათთან ერთად მდევრად გასწია. Oუმცა მტერს მთაზედ გადაესწრო და სამშვიდობოს გასულიყვნენ, მაგრამ ნინიკას ამხანაგებთან ფიცი შეეკრა, რომ სანამ ქისტებს არ გადაუხდიდენ, შინ არ დაბრუნებულიყვნენ და ამისთვის მათ ადგილებში გაიდენ და ხელის შემწყობს წუთს იქ მოელოდენ.

მარინე-კი შინ იჯდა და დღე დალამე ქმარს და იმის ამხანაგებს ღმერთს ავედრებდა, სალმრთოსა მართავდა და «დეკანოზებს აწირვინებდა».

ერთს ბნელს ღამეს, როდესაც ნისლს იქაურობა შავს უბსკრულად გადაექცია და მთა-და-ბარს მჭიდროდ შამოხვეოდა, ნინიკას სახლთან ვიღაცა ნაბადსა და ყაბალახში შეხვეული კაცი მივიდა, ავიდა ბანზედ და ერდოდგან ყურება დაუწყო. ‘ქერაში ცეცხლი ჩაფერფლილიყო და სახლის კედელში გაკეთებული კვარი-ღა აშუქებდა. ჯალაბობა აქა-იქ მიყრილიყო და მისძინებოდა; კერის პირას იჯდა მხოლოდ მარინე და «სატოლის» *) ამზადებდა. პირისახეზედ რაღაცა მოუთმენლობა ეტყობოდა. შეეშველია, თავის ქმარზედა ჰფიქრობდა.

ბანზედ მყოფმა აიღო კენჭი და ერდოდგან ისე ჩააგდო, რომ კერას მოხვედრილიყო; ნაცარი გაიშალა და რამდენიმე ნაწინწალი ავარდა. მარინე შეკრთა, გაისწორა თავ-შალი და გაწითლდა. ჩამოვარდა მეორე კენჭი და კერაში იგივე სურათი გამეორდა. დედა-კაცი წამოდგა და მივიდა ჩირაღლთან დააქრო და კერას დააკქერდა. ჩამოვარდა მესამე კენჭიც... ქალმა წყნარად და ფრთხილად, თითის წვერებზედ კარებისკენ, გასწია ფრთხილად ურდულს გაუგდო და უფრო ფრთხილად გააღო კარი.

ძლიერს მოასწრო ფეხი გადაედგა, როდესაც ძლიერი მკლავები მოეხვია, ძალზედ «მიიჭუჭკა» მკერდზედ და გრძნობით ალსავსე ხმით ჩასჩურჩულა:

— ჩემო ყველავ!

მარინე გაწამდა კაცის ხელში და ხმა ამოუღებლივ გაჰყვა კაცსა, რომელმაც ჩქარის სიარულით, იქავ მყოფს ნანგრევებისკენ წაიყვანა.

ორნივ შევიდენ და დასხდენ. ‘ა-

*) ტოლი საჩოხე შალია.

ქვეყნის, საზოგადოების, ხალხის წარმატება, გაუმჯობესება, ამაღლება. ამ კაცებს ეჭირვებათ დახმარება არა ნივთიერად, არამედ ზნეობითად. მოღვაწენი თვალ დასანახავად სჩანან მთელს საზოგადოებაში. მათი მოქმედება საჩენია და აი, ამ მიზეზისაგამო რომ ყველა ხედავს, დიდი და პატარა, მათ დახმარების ნაცვლად, უტეხს დავებს, ჭორებს, კიცხვას, გაკილვას უკიდურესს სამზღვრამდე. ზონება ნაკლებს, უმეცარს, ავ-გულას და ზნე დაცემულს კაცებს ეს გაკილვა ხელს უმართავს და მეტადრე თუ პიროვნული ანგარიშებიცა აქვთ, ყოველგვარ ბოროტ-მოქმედებაზე ახალისებს. ჩვენ ამ საზოგადოების კილვა-კიცხვას ბრმად ვუყურებთ, სანამ კაცის კვლას არ დავინახავთ.

მუდამ დღე ნახული წვრილ-წვრილ საქმეებში მტრობა საქმით და კილვა-კიცხვა სიტყვით არ გვარწმუნებს, და, როდესაც ამ თვისებათაგან მომხდარი კილვა ხდება, წყველა კრულვას მოვაწყობთ და თავს ზარი გვეცემა.

იმ საშინელ კლვაში, რომლის მსხვერპლი დღეს მჭედლიძე იყო, გუშინ ასათიანი, დღეს მებატონე ტატიშვილი, გუშინ ოზურგეთის პრისტავი ნაკაშიძე, ამ კლვაში ვითომ და ყველას ცოტაოდენი წილი არ გვედვას? აბა ავიწონოთ ჩვენს გულში და ერთ მხარეს სასწორზე დავდვათ ჩვენი მშვიდობის მოყვარება და მეორეს მხარეს შფოთის მოყვარება, ფიქრით, სიტყვით, საქმით, განზრახვით. აბა დივაკვირდეთ, რომელი სძლევს?

დიაღ სანაღვლო, საზრუნველი, დასაფიქრებელი რამ არის. აბა წარმოიდგინეთ რა მდგომარეობამდის უნდა კიდე უკიდურესობა, რომ ოცდა ხუთ წელს ერთგულმა მოღვაწე კაცმა ხელის აღება მოისურვოს საზოგადოებისაგან თავის სიკვდილის შიშისაგამო კი არა, იმის გამო რომ საზოგადოებას ჩემის სიკვდილით ჩირქი არ მოეცხოსო.

ჭეშმარიტ მოღვაწეს დიაღაც სული შეუძრწუნდება არა იმ თავის საკუთარის სიკვდილის შიშით, არამედ მით რომ საზოგადოებას ჩირქი ეცხობა, რადგანაც თვის შორის ზრდის ულირს კაცებს

ძიდევ ერთი ბრწყინვალე მოძღვრება მოგვცა სულდიდობამ მაღალ პატივცემულის მღვდელ მთავრისამ. ძიდევ მისმა ჩვენდამი სიყვარულმა, ჩვენის ხალხის სახელის გატეხის შიშმა აფიქრებინა დატოვება საყვარელის და მის მოყვარე სამწყსოსი.

ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი საზოგადოება კარგად მიხვდეს ამ უკანასკნელ მოძღვრებას და აღმოფხვრას თვისში ის დამამცირებელი თვისებანი, რომელნიც ხელს უწყობენ ყოველ ბოროტსა და ხელს უკვრენ ყოველ კეთილ განზრახულებას.

ღვეს საზოგადოებამ გამომჩვენებით გამოაცხადა, რომ მისთვის მოღვაწე ღვდელ მთავრის ერთი ბეწვის შეხება ვერავინ გაბედოს; გამოაცხადა, რომ მისს მოღვაწეს მრთელი საზოგადოება ჰყავს მფარველად და მცველად. ეს გამოთქმა გვაიმედებს, რომ საზოგადოება განაჩენს უჩენს და ჰკიცხავს იმ საზიზღარ მდაბალ თვისებაებს, რომელიც ჩვენში აქამომდე დაფარულია და მრავალ ჩვენგანის გულში ღრმად დაბუდებულა. ძიდევ ვიტყვით: ღმერთმა ინებოს, რომ ყოველი ჩვენგანი მიხვდეს ამ აზრს ქვეყნის საბედნიეროდ.

შინაური ქრონიკა

ᲝᲝᲝ Შოთიდამ გვწერენ, რომ იქ რკინის გზის ერთს ყარაულს ხელში ნავთით სავსე ლამფა გახეთქოდა და ცეცხლი მოჰკიდებოდა. თუ რომ რკინის გზის ფერშალი არ მისწრობოდა, საწყალი ყარაული უსათუოდ დაიწოდაო.

ᲝᲝᲝ ხევიდამ გვწერენ, რომ სოფ. ჩიმში ფრიად სამწუხარო ამბავი მომხდარა ამ დღეებში: 22-ს ივნისს, ყაზბეგელებს ხუთი ურმით შეშა მოჰქონებიათ სოფ. ჩიმის ტყის ნაწილიდამ, ამოსულან თუ არა სოფ ჩიმს, იქ წინ დახვედრია ერთი ჩიმის ტყის მოწილეთაგანი, სახელდობრ შამილ ხეთაგუროვი, და უთხოვნია ყაზბეკელებისაგან სატყეო ფულის გადახდა ყაზბეგელებს უთქვამთ ხეთაგუროვისათვის, რომ ხუთი ურმის შეშის ფასი გადახდილი გვაქვსო და მისთვის კვიტანციაც წარედგინათ, რომელიც მიეცა მებატონეს ელმრზა (ბალაუ) დუდაროვისაგან, მაგრამ ხეთაგუროვს მაინც არ გაუნთავისუფლებია ხსენებული მეურმეები და ის კვიტანციაც დაუხევია. მაშინ ერთი იმ მეურმეთაგანი ასულიყო დუდაროვთან, და ეთქვა, რომ ხეთაგუროვმა არ მიიღო შენი კვიტანცია და ურმებს არ გვანებებსო. დუდაროვს მაშინვე აეღო ორ-ლულიანი თოფი და ჩამოსულიყო იქ, სადაც ურმები იდგნენ. აქ დუდაროვსა და ხეთაგუროვს მოუვიდათ ურთი-ერთ შორის ჩხუბი და საქმე იქამდის მივიდა, რომ დუდაროვმა ორჯელ ესროლა თოფი და ორჯელვე მოარტყა, ერთი მკერდში და მეორე გვერდში; მაშინ ხეთაგუროვმაც გაიძრო ხანჯალი, ატაკა დუდაროვს მუცელში და ორივენი წაიქცნენ.

თოფის ხმაზე ჩიმიდამ ჩამოცვივდენ დუდაროვისა და ხეთაგუროვის ძმები და ნათესავები, მიირბენენ დაჭრილებთან, დახედამენ თუ არა დაჭრილებს, ესენიც უთუოოდ ერთმანეთს დახანჯლავდენ, თუ ჩიმის ციხიდამ (რომელიც ძალიან ახლო მანძილზე მდებარეობს იმ ადგილზედ), რუსის ყაზახები თავიანთის უფროსით საჩქაროდ არ მოსულიყვნენ, რომელთაც იარაღი აჰყარეს ორთავე მხარეს და ამით მოუღო ბოლო მათ შორის ჩხუბს.

დუდაროვი იმავე ღღეს გათავებულა და ხეთაგუროვი იმის მეორე ღღეს ღილით.

ᲝᲝᲝ გაზეთს „კავკაზს“ ატყობინებენ, რომ კავკასიის რკინის გზის სამმართველომ მისწერა ამავე გზის გამგეობას 1886 წლის შემოსავალ გასავლის ანგარიში ბირველს ავგისტომდის წარმოუდგინოს. კვლავ-კი ჩვეულებრივ ამ ანგარიშს ოქტომბერში ან ნოემბერში ადგენდენ ხოლმე.

ᲝᲝᲝ 1883 წელს თბილისის გუბერნიის კრებამ დაადგინა სთხოვოს მთავრობისათვის, რათა მან ნება დართოს დაედგათ თბილისში ქუდი გინსვენებულს ჩვენ ბოტეტს გრიგოლ ორბელიანს. ესლა ეს თხოვნა მთავრობას შეუწყნარებია და ნება მიუცია მოგროვდეს კავკასიაში ფული ხსენებული საგნისათვის. („კავკაზი“)

ᲝᲝᲝ „Новое Оболреніе“-ს სწერენ, რომ, რა დღესაც ეახლდენ სალიანის ერთს ვითაგას დაეცნენ, სწორედ იმავე დღეს ე. ი. ივნისის 23-ს ჯვეთის მაზრის უფროსიც გავიდა სალიანიდამ

ცი ესაყვარლებოდა, ეალერსებოდა, ემუსაიფებოდა და ათას-გვარს მადლობას ეუბნებოდა, რომ შეიბრალე, ძლიეს შეასრულა მისი ხვეწნა. ქალი იქამდის დაფანტულიყო, რომ ხმა ჩაწყვეტილი ყურს უგდებდა და გაშეშებულსავით დარჩენილიყო.

— მარინე მარინეისი! აღგზნებულის ხმით წამოიძახა კაცმა და კიდევ მკერდზედ მიიკრა.

ქალი ერთბაშად შეკრთა, თითქოს ძილიდგან მაშინ გამოფხიზლდაო, გაიბრძოლა და ზეზედ წამოვარდა.

— სუ-ღა, იყუჩე! უთხრა მარინემ და ხელის კვრით კაცი შეაყენა.

უცნობი ამ საქციელმა პირველში გააშტერა, შეაკრთო და უკან მიდგა; მაგრამ, წუთს შემდეგ გაიღიმა და თავში აზრმა გაურბინა, რომ მარინე ეკეკლუცებოდა.

— ქარგია-ღა ქალაუ! ნულარ მტანჯავ? შენთვის რაი მადლია, ღვთის მადლსა?

— თევდორეე, თევდორეე!.. რაისთვი გადამკიდებიხარ, რაისთვი შემომდგომიხარ მაცდურსავით და გინდა სული ეშმაკს მიმაცემინო?.. ჩამომეხსენ, ღვთის მადლსა, თორემ დანა და ყელი ერთად მისულა.

— აჰუ! მოკვდეს ჩემი თავი!.. მე კი არ მინდა ჩამოგეხსნა, მაგრამ რაი უყო გულ ტიალასა?!. თავად ამები მაცდურათა, თავად მომხიბლე და ეხლა თავი როგორ-ღა დაგანება?.. საით შამიძლიან?

— ბიჭაუ! წერას ნუ აუგდიხარ! უთხრა მარინემ.—მე ცხო პატრონი მყავს და თუ ეგ ანბავი შეგიტყო, ღთის მადლმა დღეს გაგიმწარებს, მზეს დაგიბნელებს... დადექ შენს ქერქში!

— რაი მენაღვლების, თუ კი შენ ჩემი იქნები.

— არ ვიქნები, არა.

— მაშ არ გიყვარვარ?

— არა.

ქაცი კიდევ გაჩუმდა, ჩაფიქრდა და შემდეგ ისევ გაიღიმა.

— თუ არ გყვარებოდი, აქაც არ გამოხვიდოდი. უთხრა და გაშალა კიდევ მკლავები, რომ მოხვევნოდა. მარინემ ხელი ჰკრა. შეუტია და მკაცრად უთხრა.

— ბიჭაუ, დადექი მეთქი, თორემ პირიმზის მადლმა, დავიკივლებ და აქვე გაგაქრობენ.

— მაშ რაისთვი გამოხვედი?

— იმისთვი, რომ აღარ მომისვენე და მე თავად მინდოდა დამერცხვინე.

— რაიო?... ისეთის ხმით იკითხა კაცმა თითქოს არ ესმოდა რას ესაუბრებოდენ.

— ისა, რომ ქუდოსან ხარ, წვერ ულვაშ გასხია და მეზობლის სახლს გაწბილება, დიაცის მოყვენება რაი კაცთ საკადრისია? წადი, მომშორდი და ჩვენს კარზედ ნულარ გაიელი.

ქაცი გაფითრდა, თვალები აენთო და სულ თქმა გაუხშირდა. ბულმა ისე ძგერა დაუწყო, რომ იმის დაგადუგი შორს ისმოდა.

— მაშ მართალს უბნობ?.. არ გიყვარვარ და ისე მოხვედი? ძლიეს წარმოსთქვა იმან და ხმამ კანკალი დაუწყო.

— იმად მოვედი, რომ შენი ყმაწვილ-ბიჭობა მებრალების!.. არ მინდა, რომ სალექსოდ ან შენ გახდე და ან მე, არ მწადის ან ქუდი შენ მოგეხადოს და ან მანდილი მე? უთხრა ქალმა და დაუმატა.—იცოდე სიკვდილს ვირჩევ, სანამ გაწბილებული ვიელი და ღვთის მადლსა ჩამომეხსენ.

ამ სიტყვებზედ ქალი გაბრუნდა, წასვლას აპირებდა; კაცი ზარ დაცემულსავით იდგა და ძლიეს-ღა სულს იბრუნებდა.

— მოიცა!.. ერთბაშად შეაყენა იმან.

— მოიცა მარინე! უთხრა კაცმა და ხმაში ისეთი მწუხარება დაეტყო, ისეთი სატანჯველი, რომ ქალმა უარი ველარ მოახერხა.

— რა-ილა გინდა?

— ბამიგონ... ხომ მიდიხარ... მშორდები.—ღმერთს გაძლევ თავდებათ, რომ მეც მოგშორდე, გადვიკარგო სადმე... შენს ყურებას ვერ უძლებ და ცხოგან გადაკარგულს იქნება დამავიწყდე .. რაი ვქნა!.. მესმის რომ გონჯა ვიქცეოდი, მეზობლის ღალატი—ღმერთის ღალატია, მაგრამ მიყორდი, მიყორდი ისე, როგორც «ნადირს» ნიავი, ყვავილს ცის ნამი... ღმერთმა ილბალს არ შემყარა და მშვიდობით. თუ დამავიწყდი... მაგრამ არა, საით დამავიწყდები?! არ დამავიწყდები კი, მაგრამ თავს აღარ მოგაწყენ... თუ ვერ გავძელ, თავს მოვიკლავ...

ქალს შებრალდა თევდორე, მის გულში თანაგრძნობამ გაიღვიძა და წყნარად ანუგეშა:

— ეაჟ-კაცკაცობა უნდა ეტყობოდეს, დიაცს—მანდილოსნობა... ქმარი რომ არ მყოლოდა შენზედ გავთხოვდებოდი, და ეხლა კი მშვიდობით...

ყაჩაღების გასადევნელად, რომელნიც 24-ს კაცამდის იყვნენ, მაგრამ მათ მოესწროთ მტკვარში გასვლა. წყალში გასვლის დროს ერთი ყაჩაღთაგანი დაეჭირათ; იგი გამოტეხილიყო და ეთქვა, რომ მე ბესიას ყაჩაღების გუნდს ვეკუთვნიო, მას ცხენი წყალში დაეღრჩო და ჩემი ცხენი გამიმართვია. როგორც დაჭერილს ყაჩაღს უთქვამს, მთელ ბაქოს ყაჩაღები სამს გუნდად დაეყოფილან: ერთი გუნდი სპარსეთში გადასულა და დანარჩენი ორი გუნდი ბაქოს გუბერნიაში მოქმედებენო. ყაჩაღების ერთი გუნდი, რომელსაც მოთვედ ფეტულა ჭყვეთ, სოფ. გენჯალის ახლოს გამოჩენილა და იმისა და ჩაფრების შორის გაცხარებული თოფის სროლა ატეხილა და ამ დროს თვითონ ფეტულა მოუკლავთ, დანარჩენები-კი დამალულან.

უცხოეთი

ამერიკის შეერთებული შტატები

შესანიშნავი ძეგლი «თავისუფლება», რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკამ აჩუქა ამერიკის რესპუბლიკას, ამ ჟამად ჩაუტანიათ ნიუ-იორკში. თუ რა აღტაცებით მიიღო ეს საჩუქარი ამერიკის ხალხმა—ამაზედ ბევრს იწერებოდენ თავის დროზე. აგერ მესამე წელი გადის, რაც გამოჩენილი მოქანდაკე ბარტ-ჰოლდი მუშაობდა ამ ძეგლზე საფრანგეთში. ამ ხანში ამერიკის ხალხს დღე მუდამ ახსოვდა ასეთი ძვირფასი საჩუქარი საფრანგეთისა, ხშირად იკრიბებოდენ ნადიმად და სვამდა საფრანგეთის სადღეგრძელოს არა ერთი ათასი შამპანის ბოთლისა დაცლილა ამ ხანში ორის რესპუბლიკის შორის მკვიდრი კავშირის აღორძინებისა და განმტკიცებისათვის. ბავიდა ხანი და დღეს საფრანგეთის გემმა Jsere-მა ნიუ-იორკის ნავთ-საყუდარს მიაყენა «თავისუფლებას» ძეგლი. ძეგლის ამართვა ამერიკელებმა ადრევე გადასწყვიტეს ნიუ-იორკის ნავთ-საყუდრის შესავალშივე, ისე რომ ელექტრონულმა სინათლემ, რომელიც მომართული იქმნება თვით ძეგლზე, სინათლე დასცეს ზღვას და გზა გაუნათოს ამ ნავთ-საყუდრისაკენ მომავალს ხომალდებს.—ამერიკელებს მხოლოდ ღირსეულ ძეგლისათვის ღირსეული საძირკველი უნდა დაემზადებინათ; მაგრამ აქ აღმოჩნდა უმთავრესი დაბრკოლება, რაც სწორედ რომ გასაკვირველია ამ შემთხვევაში და მემრე კიდე ამერიკელებისაგან. ბაიმართა ხელის მოწერა—უნდა შეეგროვათ 350,000 დოლარი რომელიც საჭირო იყო საძირკვლის მოწყობისათვის. იმ თავითვე, მიუხედველად საძირკვლისათვის დანიშნულის კომიტეტის მეცადინეობასა, ხელის მოწერა ერთობ დუნედ მოდიოდა. ყველას საკვირველად მიაჩნდა ეს სიგულ-გრილე ამერიკის ხალხისა. ბევრს ამერიკაში სასირცხოდ მიაჩნდათ ეს გარემოება, თაკილობდენ ამ ამბავის დახმარებას. ხალხი-კი ამბობდა—ძეგლი ნიუ იორკში უნდა დაიდგასო, ეს ქალაქი უნდა დააშენოს მანაო და დეე ნიუ-იორკელებმავე შეიწუხონ თავი, დეე მათ მიიღონ საჭირო ფული საძირკველისათვის. როდესაც საფრანგეთიდამ მივა ამბავი ამერიკაში, რომ ძეგლი მზადაა და ამ დღეებში გამოიგზავნება კიდეცაო, მაშინ მხოლოდ 100,900 დოლ. იყო შეკრებილი. თითქმის ყველა გაზეთები ამ გარემოებას ამერიკის ხალხის ღირსების შეურაცხყოფად რაცხდა, მაგრამ ამით საქმეს ვერ ეშველა. ბოლოს ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს ნიუ იორკში მცხოვრები ვენგრიელი ებრაელი, ერთი სატახტო გაზეთის რედაქტორი და ხელის-მოწერა წარმატებით იწყებს სვლას—სულ მოკლეს ხანში დიდ ძალი ფული გროვდება. მს გარემოება — უცხოელის მეთაურობა ნამდვილს ამერიკულს საქმეში, უფრო ბრაზებს ურევს იმ პირთ, რომელნიც გულ-მხურვალედ ეკიდებოდენ საძირკვლის აგების საქმეს.

ინგლისი. ვენის გაზ. «პოლიტიკურ კორესპონდენციას» სწერენ პეტერბურგიდამ: «აქაურს მმართებლობითს წრეებში არა სჯერათ «ჰავასის სააგენტოსაგან გავრცელებული ამბავი მასზე, რომ ლორდ-სალისბიურს განზრახვა ჰქონდეს, ვითომ ახალს ნიადაგზე მართოს ინგლისისა და რუსეთის შორის მოლაპარაკება; მაგალითად მას ჰსურს თავ-და-პირველად პირობა შეჰკრას ემირთან, ამ პირობაში მტკიცედ დაიცვას ინგლისის ინტერესები და შემდეგ მოსთხოვოს რუსეთს, რომ ეს სახელმწიფოც თანახმა გახდეს ამ პირობისა. კორესპონდენტის სიტყვით, რუსეთი ინგლისის საწინააღმდეგო პოლიტიკას არასოდეს არ მიჰყვებოდაო. ინგლისმა სხვა რიგ შეხედა იმ თავითვე საქმეს, შეეშინდა ჰერათისა და თვის სამფლობელო ინდოეთისაო და თვით ასტეხა დავა. ბევრი მუქარისა და უკმაყოფილების გამოცხადების შემდეგ, ერთხანს თითქოს შეწყდა მოლაპარაკება, მაგრამ შემდეგ ხელ-ახლავ მოუდგენ ამ მოლაპარაკებას და ამ დროს უეცრად დაეცემა ბლადსტონის სამინისტრო. მაგრამ ამ გარემოებას კიდე არ უნდა შეეძლოს სხვა ნიადაგზე, სხვა რიგად მართოს მოლაპარაკების საქმე... რუსეთმა უნდა გაიყვანოს საშუალო აზიაში ისეთი სამზღვარი, რომ გამოსადეგი იყოს გეოგრაფიულად, ეკონომიურად და სტრატეგიულადაც

სალისბიურის კაბინეტს უნდა ესმოდეს კარგად, რომ თუ რუსეთმა ამ მცირე ხანში აღარ განიმეორა თვისი მოთხოვნილებანი ეს იმიტომ, რომ ხელი გაუმართოს ახალს სამინისტროს, რომელმაც განაცხადა მასთან, რუსეთთან ატეხილი დავის მშვიდობიანად დამთავრების სურვილი...

— «Times»-ს ტელეგრამით სწერენ პეტერბურგიდამ: «რუსის მურღაბის ბანაკიდამ ამბავი მოვიდა აქ, რომ ავღანის ჯარი საზღვარზე გროვდებაო. საშუალო აზიაში მყოფი რუსები დარწმუნებული არიანო თურმე, რომ აბდურაჰმან ხანს განუზრახავს მდ. ქუშკაზე დამარცხებისათვის მაგიერი გადაუხადოს რუსის ჯარსაო. სარიყი თურქმენები შეფიქრდენ ავღანელთ ჯარის მოძრაობის გამო და რუსებს მიმართეს დასაფარავად, ასე რომ სჩანს მალე უნდა მოველოდეთ ხელ-ახალს შეტაკებასაო.»

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

იელისის 3-ს.

პეტერბურგი. ევროპიელი რუსეთის სხვა-და-სხვა მხრიადამ იწერებიან, რომ გვალვამ მოსავალი წაახდინაო. შემოდგომის ნათესები სრულიად წახდენ და ზაფხულ მხოლოდ საქონლის საჭმელად გათიბეს.

ხანი გაივლის, დაგავიწყდები... ღმერთი ხელს მოგიმართავს. ქვეყნად ქალი ბევრია, ბევრი ჩემზედ ლამაზი, ნახავ და შეგიყვარდების, შეირთავ და ღმერთი შეგეწევის.—ძიდევ შეილხინებ, ქუდს მაღლა აიწევ?.. მშვიდობით.

— ერთაი, მაინც მაკოცე ერთაი!

— სუ-ღა, ღმერთს ნუ აწყენ!..

— ერთაი, რაი გაგიხდა ქალაისი? მთრთოლვარეს ხმით წამოიძახა თევდორემ, მაგრამ მაშინვე ხელი ჩაიქნია.

— არა, არა... არ მინდა... წადი, წადი ჩქარა, ნულარ იგვიანებ, თორემ არ ვიცი ღვთის მადლმა, რას ჩაიდენ... წადი, წადი, მორჩი!.. მაამბრუნა ქალი და ხელის კვრით კარებში გააცილა

ქალმა სირბილით გაირბინა და კაცი კი დალონებული გასცქეროდა. ბოლოს ამოიოხრა, გადაისვა შუბლზედ ხელი და გაბრუნდა.

ვერ მოასწრო ნაბიჯის გადადგმა, როდესაც წინ ვიღაცა გადაუდგა და დასძახა.

— შესდექი ძაღლო!

თევდორე შეკრთა და კედლისკენ გადამხტარმა უპასუხა.

— ვაქკაცს ლანძღვა არ შეშვენის. სადე თუ რამე შეგიძლია.

ამ სიტყვებთან ერთად გავარდა ორი თოფი ისე თითქოს ერთისაგან იყო გასროლილი და თევდორე დაბარბაცდა, გავარდა თოფი ხელიდგან და დაეცა. ტვიას მკერდი გაუხვრიტა; მეორე მსროლელმა-კი ქუდი შეიჭუჭკა და დასძახა:

«ქარგი ყმა ლაშქრად მოკედების
სწორების მჯობინობასა;
ბონჯი ბოსლისა კარებზედ
ქალების ლოდინობასა...»

და წყნარად გაიარა სახლისკენ.

თევდორემ ძალზედ ამოიოხრა, ძლივს გაიმეორა: «ბონჯი ბოსლისა კარებზედ, ქალების ლოდინობასა» და იქავ სული დალია.

ხალხმა ბევრი იწუხა, ბევრი იჯავრა, მაგრამ დაჭრილს ვერ უშველეს და, კარგა ბლოვისა და ტირილის შემდეგ. დამარხეს.

III

როდესაც ამ ამბავს მორჩნენ, სოფელი შეიყარა და უფროსები ბჭედ გავიდენ. ყველას გაგებული ჰქონდა მთიულეთში განთქმულის ვაქკაცის სიკვდილის მიზეზი. ყველას უკვირდა მარინეს საქციელი, რადგანაც ყველა დარწმუნებული იყო, რომ ქმარს ულალატა. ყველა ითხოვდა მარინეს გადახდევინებას, როგორც გვირგვინის მოლალატისას და ’კაცის სიკვდილის მიზეზს.

გავიდენ ბჭეები, დაიბარეს მარინე და გამოჰკითხეს ყველაფერი. ქალმა არაფერი არ დაუმალა, ყველაფერი დაწვრილებით გააგებინა, მაგრამ ვერა გზით ვერ დაარწმუნა, რომ ის თევდორესთან შემცოდეე არ იყო.

— ქალაუ, წარმოსთქვა ერთმა ბჭედ ამორჩეულმა მოხუცმა: თქვენ შუა რაი იყო, მაგის მოწამე არვინ არის... ღმერთი დიდია, ყველასა ხედავს და მაგის მსაჯული ის იქნების... შენ ცხო დანაშაული გაქეს... შენ ნება არა გქონდა უცხო კაცთან საღამოობაც გასულიყავ, გასულიყავ შუალამისას, უმოწმოდ და ფარულად. შენ შეარცხვინე შენი მანდილი და გააწბილე შენი ქმაის ოჯახი... დამნაშავე ხარ და უნდა გადაგხდეს... ქუდოსანი რომ ყოფილიყავ, მოკლულის სისხლიც შენ მოგეთხოვებოდის, მაგრამ დიაცი ვაქკაცის სისხლს ვერ იხდის...

ეს სიტყვები ქალმა მოისმინა და, თუმცა დანაშაულს ჰგრძნობდა, მაგრამ მწარედ გაფითრებული ფეხზედ ძლივს-ღა იდგა.

— რა გადახდეს, ხალხო?

— ვირზედ შევსვათ, ვირზედ! ერთხმად მოისმა გრგვინვასავით პასუხი. ქალი შეკრთა, გაფრთხილდა დაბარბაცდა და დაეცა, მაგრამ ხალხი ერთბაშად შეინძრა, გამოქანდა და ერთის წუთის განმავლობაში გონება დაბნეული ქალი ვირზედ უკუღმა შესვეს.

პირ-გამურული, გონება მიხდილი და ჭკუა-დაფანტული უბან-უბან დაჰყვანდათ საცოდავი, რომლის შეცდომაც ის იყო, რომ გადაკიდებულის კაცის თავიდგან მოშორება პირ-და-პირ მოლაპარაკებით უნდოდა.

ამის სამაგიეროდ ხალხის ყიჟინაზედ გამოდიოდენ ქალები და რძლები, უყურებდენ უბედურის მდგომარეობას და მდულარე ცრემლი გადმოსდიოდათ. მათ სამუდამოდ გულში რჩებოდათ ის სირცხვილი, რომელიც მარინეს მიაყენეს. ამ დღიდგან მარინესთვის ყველა მეზობლის სახლის კარი დახშული შეიქნა და თუნდა ასეც არა ყოფილიყო, სირცხვილით ის თითონ ველარ გადააბიჯებდა.

ტყეში გავარდნილი, ნადირსავით ბალახით სცხოვრებდა იმ დღემდის, ვიდრე თან-და-თან შერყეული ჯან-მრთელობა სრულიად არ დაასუსტებდა და ან რომელიმე ეკლესიის კარებზედ, ან სადმე უპატრონოდ დარჩენილი სულს არ დალევდა.

თეირანი. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში მოგვდენ მერვში და შული-ვიშტში რუსეთის ჯარებს ახალი ჯარები მოემატნენო. ავღანელებმაც თავის მხრით მიუმატეს ჭერათის მეცხოვნე ჯარს ერთი ბოლოკი ქვეგითა ჯარი, ოთხი ბოლოკიც ბზაზედ დგას და იქითკენ მიდისო.

ლონდონი. ლორდმა ჩერჩილმა აუწყა საზოგადოებათა პალატას, რომ ზიულფიკარის ახლოს მდგომ რუსეთის ჯარებს ახალი ჯარები მეემატაო, აკრეთვე აცნობა, რომ კაპიტანი პიკოკი და იეტი ჭერათში მისულნ იქაური სიმაგრეების დასათვალიერებლად.

პარიზი. ლენ. კურსი ტელეგრამას იწერება გიუდამ, რომ კორეოლის გვარეულობა სატახტო ქალაქში დაბრუნდაო; რეგენტად და უმართებელესი სენატის წევრებად საფრანგეთას ერთგულნი პირნი ამოგარჩეთო და საზოგადოდ ანამაში წესიერება დამყარებულიაო.

ივლისის 5-ს.

პეტერბურგი. დიდი მთავარი გლადიმირ ალექსანდრეს-ძე გუშინ პეტერბურგში დაბრუნდა, ხოლო ივლისის 3-ს დაბრუნდა სამზღვარ გარეთიდამ დიდი კნეინა მარიამ პავლეს ასული.

კონტრ-ადმირალი სევასტოპოლის ქალაქის უფროსად დანიშნა.

„Journal de St-Petersbourg“ სალისბიურის განცხადების შესახებ, ვითომ ზიულფიკარი რუსეთის თანხმობით ავღანს ეთმობოდეს, ამბობს, რომ ამ საგნის შესახებ რუსეთი მართლა პრინციპიალურად დასთანხმდაო, თუ რომ ზიულფიკარად იგულისხმება, როგორც ინგლისურს ქარტებზედაც არის აღნიშნული, ჭერირუთის და მთის კალთებს შორის მდებარე ველი; მაგრამ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ინგლისელებმა დაუთმონ ავღანელებს ხეობანი, როიელნიც ზიულფიკრიდამ ადმოსავლეთისკენ იმეოფებიან, ამისთვის რომ ამ ხეობებზედ პეტერბურგსა და ლონდონს შორის ჯერ კიდევ არ გათვგებულა მოლაპარაკება.

ლონდონი. გიქს-ბიჩმა გამოაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ რაც წინა დღით ითქვა ავღანის საზღვრის შესახებ, იმას გარდა სხვა აღარაფერი ცნობა აღარ არისო. ლორდთა პალატამ საბოლოოდ მიიღო კანონ-პროექტი ინდოეთის სესხის 10 მილ. გირ. სტერ. შესახებ.

პარიზი. სენატმა მოიწონა მორიგება ჩინეთთან.

ბირჟა

პეტერბურგი ივლისის 2.

100 მანათის კურსი სამის
თვით ლონდონზე— —$24^{1}/_{16}$ $24^{3}/_{16}$ $24^{3}/_{32}$
100 მანათის კურსი სამის
თვით ჰამბურგზე— —$205^{1}/_{8}$ $205^{3}/_{4}$ $205^{1}/_{4}$
100 მან. კურსი სამის
თვით პარიუზე — — $253^{3}/_{4}$ $254^{1}/_{2}$ 254

ჰოლუიმპერიალები — 8 მ. 19 კ. გაუ.
ტამოუნის კუპონები — 8 მ. 19 კ. გაუ.
ვეცხლის მანეთი — 1 მ. 31 კ. გაუ.
ბირჟის დისკონტი— — $5^{3}/_{4}$ და $6^{3}/_{4}$%
5% ბილეთები სახელწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — $98^{3}/_{4}$ მ. გაუ.
მეორე გამოცემისა — 97 მ. 37 კ. გაუ.
მესამე გამოცემისა — $97^{1}/_{2}$ მ. გაუ.
მეოთხე გამოც. — — 97 მ. 12 კ. გაუ.
მეხუთე გამოც. — — 97 მ. 12 კ. გაუ.
5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან. — — $95^{1}/_{2}$ მ. გაუ.
მეორე გამოც — — 95 მ. გაუ.
მესამე გამოც. — — 95 მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — $217^{1}/_{2}$ მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— $211^{3}/_{4}$ მ. გაუ.
ოქროს რენტა — — $170^{1}/_{2}$ მ. გაუ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — . . . . . .
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. . . . . .

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოთში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კოროლნა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადაგოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სასოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ სებებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის; საწამლებლად ბენკლევსკი—10—11 საათამდე —საჩირურგო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე გბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კოროლნა ორშაბათობით, სამშაბათობით, სუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ჩირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ეოლტფსონი გბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ოთვეულთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 კათათვიდამ 1 მარიამობისთვემდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა —	—1	გირ.	5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა—	—1	გ.	$2^{1}/_{2}$
მეორისა — —	—1	გ.	2 კ.

იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის	—1	გ.	$4^{1}/_{2}$
მეორისა — —	—1	გ.	3 კ.
მესამისა — —	—1	გ.	$2^{1}/_{2}$

ჯვარის-ძმის პური:

პირველის ხარის ლავაში	1	გ.	$4^{1}/_{2}$
მეორის ხარის. ლავაში	1	გ.	$3^{1}/_{2}$
მესამისა — —	—1	გ.	3 კ

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა—	—1	გ.	7 კ
მეორისა — —	—1	გ.	6 კ.
სუკი— — —	—1	გ.	14 კ
ცხვრის ხორცი—	—1	გ.	8 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა—	—1	გ.	
მეორისა — —	—1	—	გ.

რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

თბილისიდამ ბათუმისაკენ
8 საათზე და 35 წამ. დილით.

ბათუმიდამ თბილისში შემოდის
10 საათ. 25 წამ. ღამით

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზე 55 წამზე ღამით.

ბაქოდამ თბილისში შემოდის
8 საათ. დილით.

თბილისიდამ სურამისაკენ
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

სურამიდამ თბილისში შემოდის
8 საათზედ 24 წამ. დილით.

განცხადებანი

ამ წლის სექტემბრის პირველს

სამეფონეო სკოლაში

რომელიც გაიხსნა ამ ორის წლის წინად სოფ. წინამძღვრიანთ კარში, მდებარე დუშეთის მაზრაში, იქმნებიან ახლად მიღებულნი ბაშვები ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. ბაშვები უნდა იყვნენ არა ნაკლებ ათისა და არა უმეტეს თოთხმეტის წლისა. ბამოცდა ყმაწვილებისა არ იქმნება, ბაშვების დედ-მამანი არა გადასახადს არ გადაიხდიან. შეგირდებს ეძლევათ უფასოთ სწავლისათვის საჭირო წიგნები. შეგირდები შეისწავლიან საღმრთო სჯულსა, რუსულსა და ქართულს ენებს, არითმეტიკას, მამულის მოვლას, ძაეკასიის მოკლე გეოგრაფიას, რუსეთის და ევროპის სახელმწიფოებისას და საზოგადო ბიბლიოთეკას ქვეყნებისას, ელემენტარულ ზოოლოგიას, ბოტანიკას და მინერალოგიას; განსაკუთრებითი ყურადღება იქნება მიქცეული ძაეკასიის მცენარეებს, მიწის შემუშავებას, ხეხილისა და ვაზის კეთებას, ღვინის დაყენებას, ბოსტნეულობას, ტყის მოვლას, ფუტკრის გაშენებას, სასოფლო მეურნეობას, ანგარიშს, ტექნოლოგიას, საზოგადო მისახვედრს ჰიგიენას, ჰიმიას, პირუტყვთ მკურნალობას, ხატვას და ხორით გალობას. ბარდა ამისა სკოლის შეგირდები შეისწავლიან სახელოსნოში, რომელიც ამ ორის თვის წინად გაიხსნა, მჭედლობას და ჩილინდრობას (სლესრობას); შემდეგში კი დურგლობას და ბოჩკის კეთებას. დედ-მამათ ანუ აპეკუნებმა უნდა წარადგინონ ბაშვები პირველ სეკტემბერში ს. წინამძღვრიანთ-კარში, საცა თვითონ სკოლა იმყოფება.

მზრუნველი სკოლისა
ი. წინამძღვრიშვილი.

(5—1)

ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 6 მანათიდგან, და ორის საწოლი 10 მანათიდგან; მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანათამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საგარაქე, საშაქრე, კოვზები, შეფიდის დანები ჩანგლებით, სამართებლები, დასადგმელი პირის საბანი, სტაქნები, სუფოანიკი, საწყაო, რიუმკები, საქაშური, თეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეკვები, სამარილეები, გარჩიტის საფხეკები, ბრობკის ამოსაღები, ბრობკები, კლიტეები, გასაღებები, კრანტები, ალვირები, სლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, გაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ბიქები, ზარიანდები, კაპსიულები, სიფონგები, ნიჩბები, გატერბრუჭი, საბნები, ჩუღქები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, ბურბები, კამფეტები, კაბუდები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები, ბომაზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში № № 95, 94, 9, 3, 91 და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100—24)

Дозв. ценз. Тифлисъ, 5 Іюля 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.